ბრძანება:**ბ44. 44241796**

თარიღი:**27/06/2024**

განცხადების ნომერი: 4424172176-10
განცხადების თარიღი: 20/06/2024

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :03. 05. 24. 129
- მისამართი :ქალაქი ქუთაისი , ქუჩა გუგუნავა , N 18 , (ნაკვეთი N5-2-1/3)

განმცხადებელი-დამკვეთი :კახაბერ შარვაძე
პირადი ნომერი :41001001312
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, N 11, ბინა 18

ნომენკლატურა :მშენებლობის ნებართვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები / ბენზინ ან დიზელ გასამართი / ქმედება: ვადაგაუსვლელი / კლასი: IV

სტადიები:
- მშენებლობის ნებართვა

სატიტულო ინფორმაცია
- ფუნქციური დანიშნულების სახეობა :მრავალფუნქციური კომპლექსი (ავტოგასამართი სადგური, ოფისი-მარკეტი-ავტოსახელოსნოს შენობა, საწყობი-ოფისის შენობა)
- მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტის პირადი ნომერი :41001001312
- მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტის სახელი და გვარი :კახაბერ შარვაძე
- თანაავტორ(ებ)ის სახელი და გვარი :გიორგი მეგრელიშვილი
- ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) :შპს ,,მალუგი"
- საიდენტიფიკაციო კოდი :202451630

დამკვეთის ინფორმაცია
- დამკვეთის პირადი ნომერი :01791047449
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :ქრეიგ სთივენ ქრამერი
- ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) :შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"
- საიდენტიფიკაციო კოდი :404391136

მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები
- მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი :ბ44. 442318459
- მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი :2023-07-03 00:00:00. 0

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქი ქუთაისი, ქუჩა გუგუნავა, N18 (ნაკვეთიN5-2-1/3)-ში მდებარე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთში (ს/კ03.05.24.129) ავტოგასამართი კომპლექსისა და მრავალფუნქციური შენობების მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 96-ე და მე-100 მუხლების, საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს მე-100 მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის პირველი პუნქტი, მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილების, მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261-ე დადგენილებისა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 05 ივნისის ბრძანება ბ44. 44241579 და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს დირექტორის მინდობილი პირის კახაბერ შარვაძის 2024 წლის 20 ივნისის №4424172176-10 განცხადების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1.გაგრძელდეს ქალაქი ქუთაისი, ქუჩა გუგუნავა, N18 (ნაკვეთიN5-2-1/3) -ში მდებარე, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთში (ს/კ03.05.24.129) ავტოგასამართი კომპლექსისა და მრავალფუნქციური შენობების მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა.

2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა;

3. მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 12 თვე.

4.დადგინდეს მშენებლობის განხორციელების (ზედამხედველობის) ძირითადი რიგის სამუშაოები და ეტაპები:

-შენობა-ნაგებობის მიწის და ფუძის მოწყობის სამუშაოები.

-შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები.
- ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე.

-შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (მარკეტის და ოფისის შენობა, საწვავგასამართი ფარდულის შენობა და საწყობი-ოფისის შენობის პირველი სართული).

-შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 3.90 ნიშნულამდე (საწყობი-ოფისის შენობის მეორე სართული).

-შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა 7.70 ნიშნულამდე (მარკეტის და ოფისის შენობა, საწვავგასამართი ფარდულის შენობა, საწყობი-ოფისის შენობა).

-არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა (მარკეტის და ოფისის შენობა, საწყობი-ოფისის შენობის კედლების და ტიხრების მოწყობა).

-შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.

-ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი.

-შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

-მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები.

5. დანართი ბრძანების განუყოფელი ნაწილია.

6. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა კუბლაშვილმა.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი